განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

09/12/2024

MES 4 24 0001582917

მოქალაქე ნატალი ხარაულს
ელ. ფოსტა: foi+request-3280-d1a83e3b@askgov.ge

ქალბატონო ნატალი,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (რეგისტრაციის N1525477; 27.11.2024) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას და პრიორიტეტს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის) ხარისხიანი და მისაწვდომი სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფა. სამინისტრო საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების პროცესში ხელმძღვანელობს მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებით ანუ განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხორციელდება მათი საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე. საჯარო სკოლებში დღეის მდგომარეობით სსსმ მოსწავლეების რაოდენობა შეადგენს 13837, სპეციალური მასწავლებლების - 2473, ასისტენტების - 2291. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შედგენა ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ერთ ან რამდენიმე საგანში მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს შესაბამისი საგნის მასწავლებელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიცავს მოსწავლის პერსონალურ მონაცემებს და ინახება სკოლაში. ამდენად, ზემოაღნიშნულის რაოდენობასთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც წარმოადგენს თქვენი ინტერესის საგანს.

ასევე, სამინისტროს მიერ სფეროს ექსპერტთა ჩართულობით მომზადდა ალტერნატიული სასწავლო გეგმა ღრმა და მძიმე განვითარების შეფერხების, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის, სენსორული სასწავლო გეგმა, მობილობისა და ორიენტაციის სტანდარტი, გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, ქართული ჟესტური ენის სწავლების სტანდარტი, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილს.

სამინისტროს მიერ ასევე მუშავდება მრავალი დამხმარე რესურსი, გზამკვლევი, სახელმძღვანელო, რომლებიც ემსახურება სსსმ მოსწავლის სწავლების ხელშეწყობას და განკუთვნილია, როგორც სფეროს სპეციალისტების, მასწავლებლების, ისე მშობლებისათვის. რესურსები განთავსებულია ვებგვერდზე: inclusion.ge
2015 წლიდან ხორციელდება უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების და მასწავლებლების ბრაილის შრიფტითა და რელიეფურად ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, ხოლო 2020 წლიდან ასევე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიებით უზრუნველყოფა. შესაბამის ადაპტაციას ექვემდებარება ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო. სამინისტროს მიერ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლების მხარდასაჭერად ხორციელდება დამხმარე ტექნიკური საშუალებების შეძენა, როგორიცაა ბრაილერი, CCTV, უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის შექმნილი თანამედროვე დამხმარე მოწყობილობები: პორტატული ვიდეო გამადიდებელი, მექანიკური ბრაილერი, სკანერი ქართული ნაბეჭდი შრიფტის ოპტიკური (OCR) ამომცნობით, ტაქტილური სახაზავი, დაფა სამაგრით, სენსორული ბრაილის ნოუთ თეიქერი და სხვა.

ამასთანავე, სსსმ პირის/მოსწავლის/სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის განათლების უფლების მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების მხარდაჭერას და ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციას, ისე ფორმალურ განათლებაში ჩართული სსსმ მოსწავლეების და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსება, უზრუნველყოფილია სენსორული (სმენა) სირთულეების, აუტიზმის სპექტრის მქონე, ჰოსპისში მყოფი და ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებისათვის/პირებისთვის მათ საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება. აღნიშნულ სერვისში მომსახურებას იღებს 100-მდე მოსწავლე. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 12 ინტეგრირებული კლასი და საგანმანათლებლო სერვისი მიეწოდება ა(ა)იპ - „ბავშვთა ჰოსპისი“ - „ციცინათელების ქვეყანა“ - მყოფ და მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებს. ამასთანავე, უზრუნველყოფილია ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების საჭიროებების გამოვლენა, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება და მიწოდება, მოზარდების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის, სკოლის ადრეული მიტოვების პრევენციისა და სოციალური ინკლუზიის მიზნით საჯარო სკოლების ბაზაზე სხვადასხვა პროექტის განხორციელება. ასევე უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა.
ინფორმაცია არსებული კვლევების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინკლუზიური განათლების ვებგვერდზე http://inclusion.ge

აქვე აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ) სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესი რეგულირდება ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესაბამისად.

ახალაშენებული საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ადაპტირებულია და შენობებში მოწყობილია შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო ან რეგლამენტი გათვალისწინებულია შენობის ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით აქტიურად მიმდინარეობს 200-ზე მეტი საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურული განახლების პროცესები და აქაც მოეწყობა ადაპტირებული გარემო.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი
ნათია ლომთაძე

ნ. ლომთ

შტამპი: სამინისტრო / ელექტრონული / შტამპის ანაბეჭდი